



**SABUKO**

Society for  
Nature  
Conservation



Partnership for  
nature and people

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში,  
ბიომრავალფეროვნების შეფასებისა და მასთან  
დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

თბილისი

31 მარტი, 2020 წელი

საკონტაქტო ელ. ფოსტა: [office@sabuko.ge](mailto:office@sabuko.ge)

მოსაზრების დასახელება: გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, ბიომრავალფეროვნების შეფასებისა და მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

თარიღი: 31.03.2020

ორგანიზაციის დასახელება - ა(ა)იპ „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკო“

საიდენტიფიკაციო კოდი - 405057174

მისამართი: ნავთლულის ქუჩა #13, 0190, თბილისი

ელ.ფოსტა: [office@sabuko.ge](mailto:office@sabuko.ge)

საქმიანობის სფერო - სახეობათა კონსერვაცია, ჰაბიტატების კონსერვაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება

საბუკოს მოსაზრებები პასუხობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით ძირითად საკვლევ საკითხებს, ესენია: (1) სკოპინგის/გზშ ანგარიშების, კერძოდ, მათში ბიომრავალფეროვნების საკითხების შეფასების ხარისხი; (2) ხარვეზებს, რომლებიც ბიომრავალფეროვნების ნაწილზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიღებულ გადაწყვეტილებებს უკავშირდება; (3) კოდექსის ნორმების შესახებ, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ დაზუსტებას.

### 1. სკოპინგის/გზშ ანგარიშებში ბიომრავალფეროვნების საკითხების შეფასების ხარისხი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ; გზშ ანგარიში კი -დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე, რაც მოიცავს ფლორისა და ფაუნის სახეობებზე, ჰაბიტატებსა და ეკოსისტემებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას.

დღეისათვის, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მთელ რიგ ანგარიშებში, დარღვევით და ფორმალურად სრულდება კოდექსის ზემოთნახსენები მოთხოვნები. როგორც სკოპინგის, აგრეთვე, გზშ ანგარიშებში, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი ნაწილი, სხვადასხვა ლიტერატურულ მონაცემებს ეყრდნობა და არა - საფუძვლიან საველე კვლევებს; საველე კვლევების ჩატარების დრო კი, ვერ უზრუნველყოფს სახეობების საფუძვლიან შესწავლასა და მოსალოდნელი ზემოქმედების განხილვას. ამასთან, კომპანიების მომზადებულ დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით, სხვა პროექტებზე შესრულებული ანგარიშებიდან გადმოწერილ მონაცემებს, რაც ზემოქმედების მასშტაბის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა.

ანგარიშებში, მნიშვნელოვან ხარვეზს ვხვდებით პროექტის განხორციელების ალტერნატივებთან დაკავშირებით. ზოგჯერ, ადგილმდებარეობის ალტერნატივები წარმოდგენილიც კი არ არის. შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაუგებარია,

თუ რატომ სურს კომპანიას პროექტის იმ ფორმით განხორციელება, რომელსაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება ბიომრავალფეროვნებაზე და შესაძლებელია სახეობების გადაშენებასაც კი შეუწყოს ხელი.

ამის თქმის საფუძველს წარმოადგენს არაერთი პროექტის ანგარიში. თვალსაჩინოებისთვის, გამოვყოფთ ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის ანგარიშებში, ბიომრავალფეროვნების შეფასებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს.

1. ქვეშეთი-კობის გზის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საკმაოდ მასშტაბური პროექტია. გზის სიგრძე 22,7 კმ არის და ითვალისწინებს ექვსი ხიდისა და ხუთი გვირაბის მშენებლობას; სამშენებლო პერიოდი კი, ოთხი წელია.

საპროექტო არეალი ველური ბუნებისთვის უმნიშვნელოვანეს ადგილს ემთხვევა, სადაც გვხვდება ისეთი სახეობები, როგორცაა: მურა დათვი (*Ursus arctos*), არჩვი (*Rubicapra rubicapra*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczzi*) და ა.შ. ასევე, კვეთს ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიას „ხევს“ (SPA#9)<sup>1</sup>.

საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მოამზადა საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგმა“. პროექტის საჯარო განხილვაზე გაირკვა, რომ ბიომრავალფეროვნების შესწავლას, საკონსულტაციო კომპანიის მკვლევარებმა ჯამში მხოლოდ ოთხი დღე დაუთმეს (აპრილსა და მაისში 2-2 დღე). მიუხედავად, ბიომრავალფეროვნებისთვის საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელობისა, გზმ ანგარიშში არ ფასდებოდა სახეობებზე ზემოქმედება, ინფორმაციის ნაწილი გადმოწერილი იყო. ბუნებრივია, ოთხდღიანი სავლელე კვლევა ვერ უზრუნველყოფდა ოთხწლიანი დაგეგმილი სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას.

2. სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ მიერ, კასპის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია კასპის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა. სკოპინგის ანგარიში მოამზადა შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგმა“.

პროექტის განხორციელებისთვის შერჩეული ადგილი - კვერნაკის ქედი, წარმოადგენს ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიას (SPA 10 KVERNAKI), აგრეთვე „ზურმუხტის ქსელის“ საიტს<sup>2</sup>. ქარის ელექტროსადგური კვერნაკის „ზურმუხტის ქსელის“ საიტს შუა ნაწილში კვეთს, რამაც შესაძლოა სრულად დაარღვიოს ჰაბიტატის ერთიანობა და უარყოფითად იმოქმედოს სახეობებზე. მიუხედავად, ტერიტორიის საკონსერვაციო ღირებულებისა, სკოპინგის ანგარიშში

<sup>1</sup> ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია (Special protected areas – SPA) საერთაშორისო კონსერვაციული მნიშვნელობის სტატუსის ადგილებია, რომელთა დაწესების ვალდებულება საქართველოს მთავრობამ 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აიღო.

<sup>2</sup> „ზურმუხტის ქსელი“ „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით“ (ე.წ ბერნის კონვენცია) შექმნილი ტერიტორიების ერთობლიობაა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციით დაცული სახეობებისთვის.

ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ ზედაპირული იყო და ვერ აფასებდა სახეობებზე მოსალოდნელ ზემოქმედებას სამი ძირითადი მიზეზის გამო, რაც სკოპინგის ანგარიშის ხარისხსაც განაპირობებდა:

- ბიომრავალფეროვნების კვლევა ჩატარდა ერთ დღეს - 2017 წლის 11 ნოემბერს, მაშინ როდესაც საპროექტო ტერიტორია 4200 ჰექტარია;
- სკოპინგის ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წელს, თუმცა მასში წარმოდგენილი იყო მოძველებული ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (2017 წლის), რაც ვერ უზრუნველყოფდა იმ დროისთვის არსებული სურათის დანახვას;
- ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი თავები გადმოწერილი იყო სხვა პროექტის სკოპინგის ანგარიშიდან.

დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ საპროექტო ტერიტორია ფრინველთათვის უმნიშვნელოვანესი ჰაბიტატია და ქარის დაგეგმილი სადგურის სიახლოვეს საქართველოს წითელი ნუსხით, აგრეთვე ბერნის კონვენციით დაცული სახეობის - ფასკუნჯის (*Neophron percnopterus*) ბუდეებია. ამგვარად, სკოპინგის ანგარიში ვერ უზრუნველყოფდა ბიომრავალფეროვნების ნაწილზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას.

დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზი უკავშირდებოდა პროექტის განხორციელების ალტერნატივების განხილვას. ადგილმდებარეობის ალტერნატივები წარმოდგენილიც კი არ იყო და საპროექტო არეალის შერჩევისას კომპანიამ იხელმძღვანელა, არა გარემოსდაცვითი ინტერესების დაცვით (როგორც ამას კოდექსი მოითხოვს), არამედ ქარის რეჟიმებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

3. შპს „ამპერაქს ენერჯი ჯორჯიას“ მიერ, კასპის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია 11.93 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა. პროექტის გზშ ანგარიში შესრულებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

ამ შემთხვევაშიც, გზშ ანგარიშში ბიომრავალფეროვნების შეფასება არასათანადოდ იყო ჩატარებული. სავსე კვლევა მხოლოდ ორ დღეს - 2018 წლის 20 ნოემბერსა და 2019 წლის 3 მაისს განხორციელდა. გზშ ანგარიშში თავად კვლევის ავტორები მიუთითებდნენ სავსე გასვლებისთვის შერჩეულ არახელსაყრელ პერიოდზე, რის გამოც, ვერ მოხერხდა ბიომრავალფეროვნების კვლევის სრულყოფილად ჩატარება. უხარისხოდ შესრულებული კვლების გამო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქმიანობის განმახორციელებელს დამატებით კვლევის ჩატარება და ორნითოფაუნაზე ინფორმაციის წარმდგენა მოსთხოვა.

## **(2) ხარვეზებს, რომლებიც ბიომრავალფეროვნების ნაწილზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უკავშირდება**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოსცემს აქტს - საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

დღეს არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად სკოპინგის თუ გზშ ანგარიშების დაბალი ხარისხისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა, სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნებსა და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებს; არ ხდება კოდექსის მე-14 მუხლით მინიჭებული უფლების გამოყენება.

სამინისტრო მის მიერ გამოცემულ აქტებში ადასტურებს ანგარიშების დაბალ ხარისხს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით საქმიანობის განმახორციელებელს სთხოვს წარადგინოს ისეთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური კვლევები, რომლებიც გზშ ეტაპზე უნდა ყოფილიყო შესრულებული, ასეთი სახით გაიცა ქვეშეთი-კობის გზის პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ამასთან, სამინისტროს მიერ დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც საქმიანობაზე უარის თქმის ნაცვლად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქმიანობის განმახორციელებელს სთხოვს კვლევების დამატებით ჩატარებასა და ინფორმაციის წარდგენას, რასაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამ გზით კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ სკოპინგის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, მათ მიერ მომზადებულ უხარისხო ანგარიშებზე. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი წარმოდგენილი კვლევებიც არ არის სათანადოდ შესრულებული და ვერ უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებას. შესაბამისად, სამინისტროს მიერ თანხმობა გაიცემა მთელ რიგ საქმიანობებზე, რომელთა დოკუმენტაციაც კვალიფიციურად ვერ აფასებს გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას.

### **(3) კოდექსის ნორმების შესახებ, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ დაზუსტებას.**

სხვადასხვა კომპანიების მიერ შესრულებულ ანგარიშებიდან კარგად ჩანს, რომ მათ მიერ ხდება კოდექსში არსებული ზოგადი ჩანაწერების გამოყენება. ისინი ფორმალურად ასრულებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - რეალურად მხოლოდ თავების სათაურებით პასუხობენ კოდექსის მუხლებს, ხოლო შინაარსობრივად დოკუმენტების ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს.

ზემოთხსენები პრობლემების გამოსწორებას, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობდა სპეციფიკური აქტების მიღება, რომლებშიც გაწერილი იქნებოდა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების ზოგადი პრინციპები, სხვადასხვა საქმიანობის დროს - კვლევის ჩატარების პერიოდი, ხანგრძლივობა და მეთოდოლოგია.